საქართველოს მთავრობის

დადგენილება №653

2025 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე უწყებების განსაზღვრისა და მათთვის სათანადო უფლებამოსილებების გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №302 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე უწყებების განსაზღვრისა და მათთვის სათანადო უფლებამოსილებების გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №302 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/07/2025, 040030000.10.003.025194) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართის მე-8 პუნქტის 8.23 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.23	ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	**საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო;** **საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო;** **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**